ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2019 წლის 24 მაისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. დიტო ხასია
4. კობა გოქაძე
5. აკაკი ხურცილავა
6. გია წულაია
7. გოჩა ჯობავა
8. ლაშა ცატავა
9. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლის დირექტორის 2019 წლის 30 აპრილის N MES11900486176 წერილის განხილვა (სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების თაობაზე)

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2019 წლის 16 აპრილის GOV 21900015235 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 მარტის N5 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლის დირექტორის 2019 წლის 30 აპრილის N MES11900486176 წერილის განხილვა (სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების თაობაზე)

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ საკრებულოში წარმოდგენილ იქნა სამეურვეო

საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია პედაგოგიური კოლექტივისა და მშობელთა კომიტეტის ინიციატივა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების შესახებ. სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წინადადება სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების თაობაზე. „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების თანახმად, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება განხილულ იქნა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ და მომზადდა განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე". მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით სახელდებასთან დაკავშირებული ინიციატივა, სამეურვეო საბჭოს ოქმი და საკრებულოს განკარგულება სამეურვეო საბჭოს მიერ წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

მომხსენებელმა კომისიას შესთავაზა წარმოდგენილი საკითხის ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ხიბულის საჯარო სკოლისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" ინიციირების წესით, განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2019 წლის 16 აპრილის GOV 21900015235 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 მარტის N5 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 22 მარტს მიღებულ იქნა N5 დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", რაზედაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებულ იქნა რეკომენდაცია, საკრებულოს მიერ დამატებითი რეგულაციების შემუშავებამდე, საკრებულომ სახელდების საკითხებთან დაკავშირებით იხელმძღვანელოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით. ზემო აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, კომისიის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკრებულოს N5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 მარტის N5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ"

მომხსენებელმა კომისიას შესთავაზა წარმოდგენილი საკითხის ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 მარტის N5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ინიციირების წესით, განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია